

გახტანგ ჭანკოტაძე

წიგნი ეძღვნება ანგარდაცვლილი  
გორელების ხსოვნას

სსიპ ვნოს

ბიბრო

ნაწილი მეოთხე

თბილისი  
2013

## წიგნის წინა საში ნაწილი გამოვიდა სახელწოდებით: „...და ვანთებ სანთელს...“

### წიგნის პირველ ნაწილში შეტანილია:

აბულაძე ალექსი, აკოფაშვილი ვახტანგი, ამბროლაძე ვახტანგი, ბაზანდარაშვილი ავთანდილი, ბარამიძე ბადრი, ბასიშვილი გიორგი, ბეჭათური გენო, ბიძინაშვილი ალექსანდრე, ბურჯანაძე თენგიზი, ვაგნიძე ბეჟანი, გამგებელი ზურაბი, გოგოლაძე გივი, გვერდწითელი თეიმურაზი, გულაძე დავითი, დაბრუნდაშვილი გურამი, დადიანი დავითი, დადიანი ვალიკო, ზაზუნაშვილი ვანო, ზარნაძე ჰამლეტი, თურაზაშვილი კობა, კერესელიძე რობერტი, კობერიძე აფენდი, კობერიძე გურგენი, კოშუაშვილი მირიანი, კუთხაშვილი გიორგი, ლალეზაშვილი გიორგი, ლაცაბიძე მიხეილი, მაისურაძე გივი, მერაბიშვილი გურამი (გულკა), მესროფთვი სეირანი, მირუაშვილი გრიგოლი (გრიშა), მუქნიაშვილი გიორგი, ნადირაშვილი გიორგი, ნადირაძე ლანგო, ნუცუბიძე გურამი, ოჭროპირიძე ოთარი, რობაქიძე ჯემალი, სამადალაშვილი ავთანდილი, სოსანიძე ვანო, ფაჩოშვილი ვანო, ქილიტაური თენგიზი, ღონღაძე თემური, ყვინოშვილი ოთარი, შადთოშვილი მიხეილი, შერმაღინი გივი, ჩალაური ყარამანი, ჩიტაია გიორგი, ჩუბინიძე მერაბი, წკრიალაშვილი იოსები, ხოჯევანიშვილი სიკო, ხუციშვილი ელუარდი, ჯაფარიძე ჯუმბერი.

### წიგნის მეორე ნაწილში შეტანილია:

აბაიძე ივანე, აბრამიშვილი გიორგი, ადგიშვილი რომანი, არშაკუნი მათე, ბიჩინაშვილი ზაური, გაბუნია გურამი, გერმანიშვილი ასლანი, გიორგაძე ანზორი, გოცირიძე ბაგრატი, გოცირიძე როლანდი, თავაქლოვი კარლო, კარაპეტიანი ზავენი, კაკაბიძე თეოდორე, კიკნაძე ვლადიმერი, კლიმაშვილი ვაჟა, კორინთელი ოთარი, მაკრახიძე მირიანი, მემანაშვილი ზაალი, ნადირაძე პეტრე, ოჭროპირიძე სოფიო, პატარაძე გიორგი (ბონდრო), გიგაური თამარი, სოშიშვილი ანზორი, ქორჩაშვილი ალექსი, ქურდოვანიძე თემო, ჩუხრუკიძე ევგენია, ჩხიკვაძე ნიკოლოზი, ხირსელი თამარი, ჭელიძე ოთარი (გუჩურა), ხუბულური ირაკლი, დედაშვილი ჯულიეტა ხაჩიძე-ხუბულურისა და ზურაბ ხუბულური.

### წიგნის მესამე ნაწილში შეტანილია:

არსენიძე შოთა, ბერუაშვილი დურმიშანი, ელბაქიძე ლევანი (ლეო), ელუაშვილი თენგო, ზარნაძე ანზორი, ზაუტაშვილი ზურაბი, თეთრუაშვილები, მაჭარაშვილი თამარი, მეცხვარაშვილი შამილი, ონიაშვილი ალექსანდრე (საშა), ონიაშვილი მერაბი, თინათინ გობეჯიშვილი-ონიაშვილი, რატიშვილი ვასიკო, რუბაშვილი დალი, სოსანიძე გივი, ჭამუშაძე ანზორი, ჩალაური ვლადიმერი, ჭელიძე ვაჟა, ხარშლაძე დავითი, ჯავახიშვილი შოთა, ჯაფარიძე შალვა, იხსენებს ზაურ თეთრუაშვილი.

წიგნი გამოიცა გარდაცვლილთა ახლობელ-ნათესავებისა  
და ავტორის ერთობლივი ძალისხმევით.

**რედაქტორი ზ. ბიძინაშვილი**

# ავტორისაბან

წინამდებარე წიგნის პირველი ნაწილის გამოსვლის შემდეგ (იხილეთ ქ. გორის ცენტრალურ ბიბლიოთეკებში და ეთნოგრაფიულ მუზეუმში), მრავალმა ადამიანმა დამირეკა და თავისი მოსაზრება გამიზიარა. ბევრმა მადლობა მითხრა კარგი წიგნისა და მისი ისტორიული მნიშვნელობის შესახებ, ზოგმა სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ წიგნი არ არის გაყიდვაში, მავანმა შენიშვნები და რჩევები მომცა და ა.შ.

მრავალრიცხოვან სატელეფონო საუბრებში და პირადი შეხვედრების დროს გამოიკვეთა მთავარი – მოსახლეობის დიდ ნაწილს სურს გაგრძელდეს წიგნის გამოცემა და მასში ადგილი დაიმკვიდროს არამხოლოდ ე.წ. გამორჩეულმა და პოპულარულმა აწვარდაცვლილმა ადამიანებმა (ბიოგრაფიული მონაცემები, ფოტოსურათები და ცხოვრებისეული საინტერესო ეპიზოდები), არამედ ყველამ, ვისი სახელის ხსოვნის უკვდავყოფასაც მოისურვებენ ოჯახის წევრები და ახლობელნათესავები თუ მეგობრები.

ვფიქრობ, რომ ასეთ წიგნთა კრებული (კატალოგის სახით) იქნებოდა გორის უახლესი ისტორიის მნიშვნელოვანი დაკუმენტური ნაწილი, რაც მომავალ თაობებს მისცემს შესაძლებლობას, ბევრი რამ გაიგოს წინაპართა ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

გავითვალისწინე რა საზოგადოების დიდი ნაწილის სურვილი, მკითხველს ვთავაზობ „ხსოვნის წიგნის“ („...და ვანთებ სანთელს“) მეოთხე ნაწილს.

მიმდინარეობს მასალების მოძიება და მომზადება წიგნის მეხუთე ნაწილისათვის (ქ. გორი, სტალინის 24, ბინა 6. ტელ: 27-81-81, 593 62-17-56).

მასალები მიიღება 2014 წლის 1 თებერვლამდე.

## ბალუსტაშვილი სოკრათი



ამბობენ, დრო ბევრ რამეს ავიწყებსო ადამიანებს, მაგრამ არსებობს მოვლენები, არსებობენ პიროვნებები, რომელთა მნიშვნელობას, ღვაწლს და გმირობას ვერასდროს დაფარავს მივიწყების ხავსი.

ასეთი ადამიანების კატეგორიას მიეკუთვნება უფლისციხელი ვაჟკაცი სოკრატ ალექსის ძე ბალუსტაშვილი, რომელიც 19 წლის ასაკში გაიწვიეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში.

მეორე მსოფლიო ომმა მას დასავლეთ უკრაინაში მოუსწრო.

აქედან დაიწყო მისი საბრძოლო-საგმირო გრძელი გზა. მან ბრძოლებით გაიარა ბესარაბია, რუმინეთი, ბულგარეთი, უნგრეთი და იუგოსლავია. თავგანწირვით იბრძოდა ისეთი ქალაქების განსათავისუფლებლად, როგორებიცაა: სტალინგრადი, როსტოვი, დნეპროპეტროვსკი, ნიკოლაევი, ბუქარესტი, ბუდაპეშტი, ბელგრადი, სოფია და სხვა.

ყველაზე უფრო ცხელ წერტილებში აგზავნიდნენ სოკრატ ბალუსტაშვილს საბრძოლო დავალებების შესასრულებლად. ისიც თამამად მიუძღოდა წინ თავის ათეულს და შეუპოვარი, სისხლისმღვრელი ბრძოლებით აღწევდა არნახულ წარმატებებს. გამოირჩეოდა სიმამა-

ცით და საბრძოლო გამჭრიახობით. მტერი ხშირად ჩაუგდია სასოწარკვეთაში გონებამახვილური სამხედრო მანევრებით. რამენჯერმე დაიჭრა, მაგრამ გამოჯანმრთელებულს ისევ წინა ხაზისკენ ეჭირა თვალი.

მდინარე დნეპრის გაბედული გადალახვისას (დამით, ნავით) და მარჯვენა სანაპიროზე პლაცდარმის დაკავების თავგანწირული ოპერაციისას მიღწეული წარმატებისა და გამოჩენილი მამაცობისათვის სოკრატ გალუსტაშვილს მიანიჭეს საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება და დააჯილდოვეს ლენინის ორდენით. სხვა მრავალი ორდენი და მედალიც აქვს მიღებული უფლისციხელ მეომარს.

განსაკუთრებული სითბოთი იხსენებდა ხოლმე ქ. ქერჩის განმათავისუფლებელი ბრძოლების დროს თავის ბიძასთან (დედის ძმა) შეხვედრას. სხვადასხვა ფრონტებზე იბრძოდა ასევე სოკრატის უფროსი ძმა გრიგოლი. უმცროსი ძმები კი მუშათა სამოქალაქო ბატალიონების წევრები იყვნენ.

სოკრატ ალექსის ძე გალუსტაშვილი დაიბადა გორის რაიონის ისტორიულ სოფელში, უფლისციხეში 1920 წლის 20 ოქტომბერს. ერთი შეხედვით, იგი არაფრით გამოირჩეოდა თავისი სოფლელი თანატოლებისაგან. ჭაბუკი სოკრატისთვის, როგორც მრავალი იმდროინდელი ახალგაზრდისათვის, დამახასიათებელი იყო მომავლის რწმენა, ენთუზიაზმი და პატრიოტული სულისკვეთება. მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის წლებში გამოიკვეთა სამშობლოსთვის მისი თავგანწირული და შუპოვარი ბრძოლის შინაგანი უნარი და მაღალი საბრძოლო ხელოვნება, რამაც იგი დაამკვიდრა გმირობის გვირგვინით შემკულ ადამიანთა რიგებში.

1945 წლის გაზაფხულზე დაბრუნდა სოკრატ გალუსტაშვილი სამშობლოში. გაიხარა უფლისციხემ ნაომარი გმირის ნახვით. თანასოფლელებს ეამაყებოდათ ასეთი კაცის მეზობლობა. ყველა პატივს სცემდა, ეფერებოდა და მხარში ედგა. მოზარდი ბიჭები დიდი ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდნენ ხოლმე მის საბრძოლო ორდენებს და

მედლებს და თან გულში ჩუმად ნატრობდნენ მისცემოდათ საშუალება გმირობის გამოჩენისათვის. ბატონი სოკრაცი თითოთ საჩვენებელი კაცი იყო არამარტო ახალგაზრდებისთვის, არამედ ზრდასრული მამაკაცებისთვისაც.

ომისშემდგომი წლების დიდი ნაწილი სოკრატ გალუსტაშიღმა გაატარა ქ. გორში. მუშაობდა სხვადასხვა სამეურნეო სამსახურში, ეწეოდა საზოგადოებრივ მოღვაწეობას, მხარში ედგა ომის ვეტერანთა საბჭოს, მონაწილეობდა გორის საბრძოლო დიდების მუზეუმის კეთილმოწყობაში და ა.შ.

დინჯი, მაგრამ მტკიცე ნაბიჯით იცოდა სიარული და კეთილი საღმის მიცემა უყვარდა. უყვარდა ახალგაზრდები და ყველანაირად ცდილობდა მათში გაედვიგებინა პატრიოტული ჟინი და განათლებისადმი სწრაფვა.

გორელები და უფლისციხელები არასოდეს დაივიწყებენ სიკეთითა და გმირობით გამორჩეულ კაცს – სოკრატ გალუსტაშიღს.



## თეთრუაშვილი ნუნუ

მე-20 საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში გორის კვლევით-სამეცნიერო ინსტიტუტის („ნიიავეტომატ-პრომი“) კედლებში გამოჩნდა ლამაზი გარეგნობის სიფრიფანა გოგონა, რომელმაც სწრაფად მოიპოვა სამასკაციანი კოლექტივის პატივისცემა და ყურადღება თავისი მორიდებულ-

ბით, მშვიდი ხასიათით, უბრალოებით და მუყაითი შრომით.

დასაქორწილებელ ბიჭებს, ერთი სული ჰქონდათ, დერეფანში აეღილ-ჩავლილი დაენახათ და მისი მშვენიერებით მოხიბლულებს ღრმად ჩაესუნთქათ. რა იცოდნენ შორიდან შეყვარებულებმა, რომ ახალი თანამშრომლის გული უკვე სხვას ეკუთვნოდა. ეს გოგონა გახლდათ ნუნუ თეთრუაშვილი, რომელსაც „კვლევის“ თანამშრომლები სულ



მაღე მონათლავენ „ნუნუკად“, რითაც ერთხმად გამოხატავენ მისდამი მოფერებას და თაყვანისცემას.

ნუნუ თეთრუაშვილი დაიბადა დუშეთის რაიონის მაღალმთიან სოფელ არანისში 1956 წლის 14 სექტემბერს, ნიკოლოზ თეთრუაშვილისა და ნადია ჭინჭარაშვილის ოჯახში.

ნუნუს მამა, ნიკოლოზი მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა გეოგრაფიის მასწავლებლად დუშეთის რაიონის სხვადასხვა სკოლაში. მუშაობდა ასევე (საპენსიო ასაკამდე) სკოლის დირექტორის მოადგილედ სასწავლო ნაწილის სფეროში. ნუნუს დედა, ქალბატონი ნადია გახლდათ თითოთსაჩვენებელი დიასახლისი, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში მუშაობდა არაგვისპირის მეურნეობაში.

ამაგდარი პედაგოგის ოჯახში აღიზარდა კიდევ ორი

ქალიშვილი, ნუნუს დები, ღია და ელიკო. ღია ჟინვალის საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებელია, ხოლო ელიკო გახლავთ დუშეთის №1 საჯარო სკოლის დირექტორი და ამავდროულად მათემატიკის მასწავლებელი.

როგორც ვხედავთ, თავად ბრწყინვალე მათემატიკოსმა, ბატონმა ნიკოლოზ თეთრუაშვილმა, სამივე ქალიშვილი აზიარა მათემატიკოსობის ურთულეს პროფესიას.

საშუალო სკოლის წარჩინებული ატესტატით დამთავრების შემდეგ, ნუნუ თეთრუაშვილმა გადაწყვიტა სწავლა გაეგრძელებინა გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში მათემატიკის სპეციალობით (როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი, ნუნუს ამ არჩევანზე გავლენა იქონია მისმა ბიძამ, ამჟამად ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ზაურ თეთრუაშვილმა და მისმა მეუღლემ ქალბატონმა ჟენია ჩუხრუკიძემ).

მაგრამ, ჯერ წინ იყო ერთწლიანი მოსამზადებელი კურსი და ამ მიზნით ნუნუმ მეცადინეობა დაიწყო მათემატიკის კათედრის უფროს ლაბორანტთან, ქალბატონ შუჟუნა სახვაძესთან. ამ ოჯახში ცხოვრობდა ქალბატონი შუჟუნას ნათესავი დათო კვინიკაძე, რომელიც მაშინ იყო მათემატიკის სპეციალობის მეოთხე კურსის სტუდენტი. დათო ხშირად ესმარებოდა ნუნუს მათემატიკის საფუძვლების ათვისებაში და სადამოლობით სახლშიც აცილებდა ხოლმე. ახალგაზრდების გულებში დაიბადა უმწიკვლო სიყვარულის პირველი ნაპერწკალი და იგი თანდათან ღვივდებოდა.

გავიდა ერთი წელი. ნუნუმ წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები და ასევე წარჩინებით დაასრულა უმაღლესი მათემატიკური განათლების კურსი. დიპლომირებულმა პედაგოგმა ერთი წელი იმუშავა არანის საშუალო სკოლაში. ამასობაში დათო დაბრუნდა

სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან და ახალგაზრდებმა მალევე იქორწინეს. ზაურ თეთრუაშვილისა და ქუუუნა სახვაძის ოჯახები მხარში ამოუდგნენ მოსიყვარულე ახალგაზრდებს და ყოველმხრივ ეხმარებოდნენ მათ. ამ დროისთვის დათო უკვე მუშაობდა გორის მე-4 საშუალო სკოლაში (დღესაც იქ მუშაობს) მათემატიკის მასწავლებლად, ხოლო ნუნუმ კვლევით-სამეცნიერო ინსტიტუტში მოსინჯა და წარმატებითაც თავისი მათემატიკური შესაძლებლობები.

დრო გადიოდა. უამინდობის ღრუბელი გამოჩნდა მეუღლეების თავზე. პირველი ბავშვის მოლოდინში გაიღია თითქმის ცხრა წელი. სრულ ბედნიერებას ბავშვის ტიკ-ტიკი და ტირილი სჭირდებოდა. აუცილებელი გახდა ექიმ-სპეციალისტების ჩარევა. მედიცინამ ითამაშა თავისი მოკრძალებული როლი.

1989 წლის 1 მარტს შეეძინათ ვაჟიშვილი ზურიკო (ამჟამად მუშაობს მანდატურის სამსახურში), ხოლო 1990 წლის 18 სექტემბერს ქალიშვილი ნათია, რომელიც მუშაობს შიდა ქართლის საერო კოლეჯის ბიბლიოთეკის გამგედ (ბიძასთან, ზაურ თეთრუაშვილთან).

მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ შვილების მოვლინებამ სერიოზული პრობლემები შეუქმნა ქალბატონ ნუნუს ჯანმრთელობას. შვილები იზრდებოდნენ, დედის ჯანმრთელობას კი ბზარი გასჩენოდა. რაც დრო გადიოდა, ეს ბზარი ღრმავდებოდა და საფრთხეს უქმნიდა ბედნიერი დედის სიცოცხლეს.

მიუხედავად ხანგრძლივი და ინტენსიური სამკურნალო პროცესისა, ქალბატონი ნუნუს ორგანიზმმა ვეღარ გაუძლო მასში დაბუდებულ სასიკვდილო კერას და იგი აღესრულა 2004 წლის 6 ივლისს.

ურთულესი ოპერაციის წინ მეუღლესთვის, ბატონ დათოსთვის უთქვამს: „...იცოდე, მე თუ მოკვდი, ძალიან

გაგიჭირდება და ისეთი ვინმე შეარჩიე, რომ ცოდვით გაჩენილი და გაზრდილი შვილები არ დაგვიჩაგროსო“.

მოსიყვარულე მეუღლემ აღუსრულა დანაბარები ქალბატონ ნუნუს. პედაგოგი ხათუნა გოგატიშვილი აღმოჩნდა ის ადამიანი, რომელმაც ყურადღება და მზრუნველობა არ მოაკლო ნუნუს ოჯახს და მის შვილებს ისევე, როგორც მის საფლავს.

იგონებენ ახლობლები.

**დათო კვინიკაძე:** „...აღარ ვიცოდი, რა გამეკეთებინა, მაგრამ, როგორც ამბობენ – გაჭირვება ადამიანს ძალას მატებსო და მეც ყველაფერი დავძლიე და გავაკეთე საიმისოდ, რომ ნუნუს ანდერძი შემესრულებინა და ჩემს ბავშვებზე არავის ეთქვა – დედა რომ ჰყოლოდათ, უკეთესები იქნებოდნენო...“

მრავალთა აღიარებით, ქალბატონი ნუნუს შვილი ნათია ძალიან ჰგავს დედას. ამას ადასტურებს მამის, ბატონ დათოს მიერ დაწერილი ლექსიც:

„...შენს მერე ყოველ ალიონს ვხვდები,  
ძიღგატეხილი და ნაწვალები,  
იმედად მრჩება, რომ ჩვენი შვილი,  
მე შემომცქერის შენი თვალებით“.

**შვილი ნათია:** „ძნელია, როდესაც იცი, რომ ვეღარასოდეს ნახავ შენთვის უძვირფასეს ადამიანს.“

„მამამ, თავისი მწირი შემოსავლით, შეძლო ჩემი და ჩემი ძმის გაზრდა, აღზრდა და გზაზე დაყენება. ორივეს მიგვაღებინა უმაღლესი განათლება“.

„...დედას ვერავინ შეცვლის, მაგრამ ჩვენი ოჯახის ახალი წევრი ხათუნა გოგატიშვილი ძალიან ბევრს აკეთებს ჩვენთვის და ამიტომაც უსაზღვროდ გვიყვარს იგი“. „...დედას ვერასდროს დავივიწყებთ. მისი გარდაცვალებით აღმოცენებულ სიცარიელეს ვერავინ და ვერაფერი შეავსებს“.

## ზაურ თეთრუაშვილი:

„ნუნუკა, შვილო!

ჩვენო მოურჩენელო ტკივილო!

ქართული ხალხური თქმულებაა: ობლის კვერი ცხვა, ცხვა, გვიან გამოცხვა, მაგრამ კარგი გამოცხვაო“.

შენი ობლებიც ასე, ობლობაში, მამის, დათოს ფრთებქვეშ შეეუულები ძნელად იზრდებოდნენ და ნამდვილად კარგები დაიზარდნენ. ორივემ წარმატებით დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი და დღეს შენსავით ახალგაზრდების აღზრდას ემსახურებიან.

ნათიას (მე მას ნათათოს ვეძახი) ვინც კი შეხედავს, ყველა მაშინვე იმას იტყვის ხოლმე, რომ ეს ნუნუკას შვილი იქნებაო. ნათათო შენ არა მარტო გარეგნობით გგავს, არამედ საქმიანობითაც, საქმის აკურატულად-შესრულებით. მისი კეთილი ღიმილის შემხედვარე შენს გარდა სხვას ვერავის მიამსგავსებს.

კაცობრიობა დღემდის ისეა მოსული, რომ ადამიანს ყოველთვის ესაჭიროება ქონებრივი გაძლიერება, გონებრივი თვალსაწიერის გაფართოება და ზნეობრივი განწმენდა. ეს მეტად რთული, შრომატევადი და დროში მუდმივად განახლებადი და განუწყვეტელი პროცესია, იგი ადამიანების ერთიმეორესთან გვერდში დგომის გარეშე ვერ მიიღწევა.

ასეა შენი შვილების მიმართაც. მათ აღზრდაში დათოს დღეს გვერდში საიმედოდ უდგას ხათუნა, რომლისთვისაც სხვის შვილებზე ზრუნვა კეთილშობილური გრძნობაა.

ნუნუკა, შვილო, სიდედრი გახდი. გილოცავ!

სიძემ, ვასილმა, შენსავით ლამაზი ყვავილებით შეგიმკო საფლავი. შენი კეთილი გულით გელოცოს ნათიასა და ვასილის ოჯახისათვის...”

## თოთლაძე შალვა

სპორტის ოსტატობის კანდიდატი ჭადრაკში.

საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.

რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

შალვა გიორგის ძე თოთლაძე დაიბადა ქ. ხაშურში 1931 წლის 9 ივნისს.

დედა – ელიზაბეტა (ლიზა) ივანეს ასული კაპანაძე, გორის რაიონის სოფელ მერეთის მკვიდრი.

მამა – გიორგი ივანეს ძე თოთლაძე.

შალვა თოთლაძემ ბავშვობა და ყრმობა გაატარა დედუღეთში, აქვე

დაამთავრა საშუალო სკოლა და 1953 წელს გახდა ქ. გორის, ნ. ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის გეოგრაფის ფაკულტეტის სტუდენტი.

ბედნიერმა შემთხვევამ შეუწყო ხელი შალვას საჭადრაკო ნიჭის გამოვლინებას: მათი ოჯახის მეზობელთან სტუმრად იყო ჩასული ჭადრაკის კარგი მოთამაშე, რომელიც თავის მასპინძელს დღედაღამე ეთამაშებოდა შალვასთვის ჯერაც უცნობ თამაშს. შალვა ხმისამოუღებლად, საათობით, უცქერდა მათ პაექრობას და აშკარად ამჟღავნებდა დიდ დაინტერესებას, რაც შეუმჩნეველი არ დარჩენიათ სტუმარ-მასპინძელს.

სტუმარს უსწავლებია შალვასთვის ჭადრაკის თამაში და აქედან დაიწყო ჭაბუკის ურთულესი და ულამაზესი საჭადრაკო გზა; გზა, რომელსაც შალვამ შეაღია თავისი სიცოცხლის დიდი ნაწილი.

ინსტიტუტის დამთავრებისთანავე (1957) მუშაობა დაი-



წყო იქვე, ლაბორანტად და ერთდროულად ქ. გორის საჭადრაკო ნაკრები გუნდის მწვრთნელად.

1964 წლიდან კი სიცოცხლის ბოლომდე სათავეში ედგა ქ. გორის სპორტულ საჭადრაკო სკოლას, როგორც უფროსი მწვრთნელ-მასწავლებელი. შალვას სიცოცხლის სწორედ ეს პერიოდი იყო ყველაზე უფრო შრომატევადი, საინტერესო და ნაყოფიერი. მან ასეულობით ბავშვს ასწავლა ბრძნული თამაშის საიდუმლოებანი, მრავალ ახალგაზრდას გაუკვალა გზა იმ მშვენიერებისაკენ, რასაც ჭადრაკის თამაშით ტკობა ჰქვია, დახვეწა ბევრი მოთამაშის სტილი და არაერთხელ გაიხარა თავადაც თავისი შრომის შედეგებით. მის აღზრდილთა შორის გამოვყოფთ ც. ქასოშვილს – საქართველოს სამგზის ჩემპიონს, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს.

ჭადრაკის მოყვარული ბავშვების მშობლებს თავანთი შვილები სიამოვნებით მიჰყავდათ ბატონ შალვასთან და ერთხმად უსვამდნენ ხაზს იმ გარემოებას, რომ მარტო ჭადრაკს კი არ ასწავლის, არამედ კაცობას, სიკეთეს, შრომას, პატიოსნებას, ყოფა ქცევებს, ზრდილობასო და ა.შ.

არც დღევანდელი ბავშვები იტყოდნენ უარს ასეთ მასწავლებელზე (ავტ.).

სავსე თავთავი თავდახრილიაო – ბრძნული ნათქვამია, და დადიოდა გორის ქუჩებში ბატონი შალვა – თავდახრილი, ნელი ნაბიჯებით, ჩაფიქრებული და ოდნავ სევდიანი. სევდის მიზეზი კი ნამდვილად ჰქონდა საქართველოზე შეყვარებულ ამაგდარ კაცს, გასული საუკუნის 90-იან წლებში ქვეყანაში წარმოქმნილი არასასურველი მოვლენების გამო.

„ძალიან ბევრი მეგობარი ჰყავდაო შალვას“, – იგონებს მისი მეუღლე ქალბატონი ლამარა მეგრელიშვილი, „ყველას როგორ ჩამოვთვლი, მაგრამ განსაკუთრებით მინდა ავლნიშნო კაკო ხუფენიას, ძმების დიტო და დათო მაღალაშვილების ყურადღებისა და მზრუნველობის შესახებ, რაც მათ გამოიჩინეს შალვას მიძიმე ავადმყოფობის პერიოდში.

შალვა თოთლაძის საჭადრაკო მოღვაწეობისა და

წარმატებების შესახებ არაერთხელ წერდა ქართული პრესა. მოვიყვანო რამდენიმე ამონარიდს გახეთქებიდან.

„...მისი თამაშისათვის დამახასიათებელია ჭადრაკის ზოგადი კანონების ღრმა ცოდნა, სტრატეგიული მანევრირება. იგი პოზიციური სტილის მომხრეა და ძალიან ხშირად ამტკიცებს ხოლმე ამ არჩევანის სისწორეს უშუალოდ სათამაშო დაფაზე, მეტოქის პირისპირ“ („გამარჯვება“. 1969, 7 იანვარი).

„...შესანიშნავი ინიციატივა გამოიჩინა ქ. გორის სპორტკომიტეტის ხელმძღვანელობამ – დვაწლმოსილი მწვრთნელი 60 წლის საიუბილეოდ გამოაცხადა რესპუბლიკური კონკურსი საჭადრაკო ეტიუდებისა და ამოცანების შედგენაში...

...რ. თავარიანმა შექმნა სამსვლიანი ამოცანა, რომელშიც ფიგურების განლაგება გამოსახავს „შ“ ასოს, ხოლო ჯ. მახათაძისა და ნ. გავაშელიშვილის ორსვლიან ამოცანაში ფიგურებით გამოსახულია რიცხვი 60“ („ქართლი“, 1991, ივლისი).


„...შ. თოთლაძემ ძალიან ბევრი გააკეთა გორის რაიონში ჭადრაკის პოპულარიზაციისათვის, აღზარდა მრავალი ახალგაზრდა მოჭადრაკე...“, „...შალვა თოთლაძე ყველასათვის საყვარელი ადამიანია. მისგან ბევრი რამის სწავლა შეიძლება...“ („მერანი“, 1987, დეკემბერი).

„...ბატონო შალვა, დღეს თქვენი პედაგოგიური მოღვაწეობის 30 წლისთავს აღვნიშნავთ და თვალს ვავლებთ განვლილ გზას, რომელიც ახალგაზრდებზე და საყვარელ საქმეზე დღენიადაგ ფიქრსა და ზრუნვაში უკან მოიტოვეთ...“ თქვენი მადლიერი აღზრდილები („გორი“, 1984, 16 ივნისი) და მრავალი სხვა.

შ. თოთლაძეს მრავლად აქვს მიღებული სიგელები, დიპლომები, პრიზები და სხვა ჯილდოები, რომელთა შორის არის იაკობ გოგებაშვილის საიუბილეო მედალიც.

შალვა თოთლაძე გარდაიცვალა 1997 წლის 27 აგვისტოს. ფრთა მოსტყდა ქალბატონ ლამარას; დაობლდა შვილი ვახტანგი, ძვირფასი მამამთილი დაიტირა ნინო ბერიძემ, პაპა მოინაკლისა პატარა შალვამ...

## კახნიაშვილი ვასო



რესპუბლიკის სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ვასილ (ვასო) ილიას ძე კახნიაშვილი დაიბადა 1910 წლის 9 მაისს ქალაქ გორში. მისი მამა – ილია ივანეს ძე ქსოვილებით ვაჭრობას ეწეოდა და საქმიან წრეებში პატიოსანი და სანდო კაცის სახელი ჰქონდა. გარდაიცვალა 1916 წელს. დედა – ალექსანდრა ზურაბის ასული დიასახლისი გახლდათ. გარდაიცვალა 1949 წელს. ვასოს გარდა ოჯახში იყო მისი უფროსი და ნინა და ძმები – იოსები და შალვა.

ვასომ სწავლა 1918 წელს დაიწყო გორის ოთხწლიან საქალაქო სასწავლებელში, შემდეგ კი გააგრძელა იგი გორის პირველ შრომის სკოლაში. 1925-31 წლებში ვასო სწავლობდა თბილისის პირველ სამრეწველო ტექნიკუმში საქონელთმცოდნეობის განხრით. ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ ერთი წელი იმუშავა გორის საკონსერვო ქარხანაში ნორმადარის, შემდეგ კი ტექნიკური დანორმვის ბიუროს გამგის თანამდებობაზე.

1932 წელს იგი გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში. ამ დროიდან გამოძედა ვასოს დიდი მიდრეკილება ხელოვნებისადმი. დაბა მანგლისის მცხოვრებლებისა და სამხედრო ნაწილის მეომრების მონაწილეობით მან განახორციელა ორი სპექტაკლის: უბრივის „ქვეყნის სამართლისა“ და ძმები კერესელიძეების „ინდუსტრიის სადარაჯოზე“ დადგმა. 1935 წელს კი იგი სასწავლებლად შევიდა კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის დრამატულ სტუდიაში. პირველივე კურსიდან ვასო აქტიურად ჩაება თეატრალურ ცხოვრებაში. იყო მარჯანიშვილის სახელობის სტიპენდიანტი. სტუდიაში სწავლის პარალელურად მონაწილეობდა თეატრის სარეპერტუარი სპექტაკლებში, რამაც დიდი როლი ითამაშა მისი, როგორც მსახიობის ჩამოყალიბებაში.

ვასოს მიერ სტუდიის დამთავრება დაემთხვა გორში სახელმწიფო თეატრის დაარსებას. მიუხედავად თბილისში, მარჯანიშვილის სახელგანთქმულ თეატრში მუშაობის მომხიბვლელი პერსპექტივისა, იგი უყოყმანოდ დაბრუნდა მშობლიურ ქალაქში და 1939 წლის აგვისტოდან ჩაირიცხა თეატრის დასში მსახიობად. აქედან დაიწყო მისი ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამსახიობო მოღვაწეობა.

თეატრში მუშაობის 50 წელზე მეტი ხნის მანძილზე ვასო კახნიაშვილმა 300-ზე მეტი როლი განახორციელა.

სამსახიობო მოღვაწეობასთან ერთად ვასო წლების განმავლობაში რეჟისორულ მუშაობასაც ეწეოდა. გორის სახელმწიფო თეატრში დადგმული აქვს საკუთარი პიესა „ბედნიერი ბილეთი“, აგრეთვე ალ. ყაზბეგის „ხევისბერი გოჩა“, ქორეოგრაფიულად აქვს გაფორმებული 10-მდე სპექტაკლი. სხვადასხვა პერიოდში ხელმძღვანელობდა გორის სკოლების, სარაიონო კულტურის სახლის, მასწავლებელთა სახლისა და ნ. ბარათაშვილის სახელობის



გორის პედაგოგიური ინსტიტუტის დრამატულ კოლექტივებს. ვასო აქტიურ მონაწილეობას იღებდა საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც. დიდი სამამულო ომის პერიოდში ვასო კახნიაშვილი გორის თეატრის კოლექტივთან ერთად აქტიურ საშეფო მუშაობას ეწეოდა – მონაწილეობდა კონცერტებში ფრონტზე მყოფ ჯარისკაცთა ოჯახებისათვის, მისი ინიციატივითა და ხელმძღვანელობით ჩამოყალიბებული იქნა აღმოსავლურ მემუსიკეთა ანსამბლი, რომელშიც გაერთიანებული იყვნენ როგორც გორის, ისე გორის რაიონის მეღუდუკეთა დასტები. იგი იყო გორის თეატრის მუზეუმის დამაარსებელი და მისი უცვლელი გამგე. მის მიერ შეგროვილი და მუზეუმში დაცული უამრავი მასალა უმდიდრესი თეატრალური განხია.

ვასომ თავისი წვლილი შეიტანა სამამულო კინოს განვითარებაშიც. მან 25 ფილმში მიიღო მონაწილეობა.

მიუხედავად კინოში აქტიური მოღვაწეობისა, ვასო მაინც თეატრალური მსახიობი იყო. თეატრი იყო მისი ცხოვრების აზრი და მუდმივი ზრუნვის საგანი. გორის გ. ერისთავის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრს მოახმარა მან უკლებლივ მთელი თავისი ენერგია, ნიჭი და უნარი.

ვასო კახნიაშვილის დეაწლი ქართულ თეატრსა და კინოში არაერთხელ აღინიშნა მთავრობის ჯილდოებით: 1961 წელს მას მიენიჭა საქართველოს დამსახურებული არტისტის, ხოლო 1984 წელს – საქართველოს სახალხო არტისტის წოდება. 1985 წელს გ. შენგელაიას ფილმ „ცისფერ მთებში“ განსახიერებული როლისათვის მან საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის საპატიო წოდება დაიმსახურა. დაჯილდოებული



იყო მედლებით: „შრომითი წარმატებისათვის“, „შრომის ვეტერანი“, „სამხედრო ძალებში კულტურული შეფობისათვის“, „სოცშეჯიბრის გამარჯვებული“, „ღირსეული შრომისათვის 1941-45 წ.წ.“, „კავკასიის დაცვისათვის“, „მეორე მსოფლიო ომის 20 და 30 წლის იუბილესათვის“ და მრავალი სხვა.

მიღებული აქვს ასევე უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელები და მრავალი მადლობა.

და მაინც, ვასოსთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და სასახელო მისი თანამოქალაქეების – გორელების ყურადღება და სიყვარული, სცენაზე მისი გამოჩენისას ამტყდარი ოვაციები იყო. „ჩვენი ძია ვასო“ – მოფერებით ეძახდა დიდი თუ პატარა.

მამისეულ ძველ და ვიწრო ბინაში გალია მთელი თავისი მოკრძალებული და საკმაოდ შეჭირვებული ცხოვრება – მე რომ ბინა მომცენ, სხვა ჩემზე გაჭირვებულს რა ეშველებაო. ოჯახში მისი მხარში მდგომი და დამხმარე მისი მეუღლე თამარი იყო. ორი ვაჟიშვილი გაუზარდეს ქვეყანას. მათგან არც ერთი მამის კვალს არ გაჰყოლია – ორივემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი დაამთავრა. შემდგომ, უფროსი ვაჟი, ნუგზარი, წლების განმავლობაში მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმში უცხო ქვეყნებთან ურთიერთობების განყოფილების გამგედ. უმცროსმა, მერაბმა წარმატებით დაამთავრა კოსმოსური კვლევის ინსტიტუტის ასპირანტურა მოსკოვში. მუშაობდა გორის პედაგოგიურ ინსტიტუტსა და კვლევით ინსტიტუტში. ხელმძღვანელობდა გორის კინოგაერთიანებას. ვასოს სამი შვილიშვილი ეზრდება მისი გვარის გამგრძელებლად და ხსოვნის უკვდავსაყოფად.

ვასო კახნიაშვილი 1990 წლის 28 მარტს გარდაიცვალა მძიმე ავადმყოფობის შემდეგ. უკანასკნელი ღამე

მან თავის სათაყვანებელ თეატრში გაატარა, გამოსვენებისას კი მის პატივსაცემად კიდევ ერთხელ დაირეკა თეატრის ზარი და მის გამოსათხოვრად მოსულმა გორელებმა და სტუმრებმა მქუხარე ტაშით გააცვიფეს იგი უკანასკნელ გზაზე. გორელების სიყვარული და პატივისცემა ვასოსადმი ჩინებულად გამოხატა თავის გამოსათხოვარ წერილში ცნობილმა მეცნიერმა და პედაგოგმა ბატონმა გიორგი ჩიჭიაამ: „იყო, ცოცხლობდა და ვამაყობდით, რომ ჩვენი თანამოქალაქეა, აღარ არის და ვიამაყებთ, რომ ჩვენი თანამოქალაქე იყო“. წელგამართული დადიოდა გორის ქუჩებში საღმიანი, ტკბილად მოსაუბრე, სიკეთით აღსავსე ადამიანი – ვასილ კახნიაშვილი, „ჩვენი ვასო“.



## მახარობლიძე შოთა



როდესაც ღირსეული ადამიანი გამოაკლდება ცოცხალთა რიგებს, ჩვენ, ქართველებმა, მისდამი მადლიერებისა და მისი ნაღვაწის აღსანიშნავად ვიცით თქმა „კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს“. შოთა მახარობლიძე გახლდათ სწორედ ასეთი კაცი, რომელიც დააკლდა არა მხოლოდ ქალაქს, არამედ სრულიად საქართველოს ელიტარულ ინტელიგენციას, იმ ინტელიგენციას, რომელიც ასეული წლების განმავ-

ლობაში უანგაროდ ემსახურა სამშობლოს კეთილდღეობას და განვითარებას.

აი, რას წერს ცნობილი ქართველი პოეტი ჯემალ ინჯია: „...ადამიანი, რომელიც მხოლოდ სიკეთეს თესავდა ირგვლივ, თბილი, კაცთმოყვარე, გულმართალი, თავისი სამშობლოსავით ალაღი... თავის პიროვნებაში აერთიანებდა მწერლისა და საზოგადო მოღვაწისათვის დამახასიათებელ საუკეთესო თვისებებს. არ აყენებდა თავს სხვაზე მაღლა, არ შურდა კოლეგების წარმატება, არ უყურებდა მეჭეჭებს სხვის სახეზე. ვიდრე ჯანი მოსდევდა საერთო მოვლენების ცენტრში ტრიალებდა“ („გორის მოამბე“, 2000 წ. 14-20 აპრილი).

ღიას, შოთა მახარობლიძე სწორედ რომ მუდამ მოვლენ-

ების ცენტრში ტრიალებდა ჯარასავით და თავისი ზომიერი პრინციპულობით, ობიექტურობით და მაღალი პროფესიონალიზმით, ნაბიჯ-ნაბიჯ, ყოველდღიურად ჭედდა თავისი ქალაქის, თავისი ქვეყნის აწმყოსა და მომავალს.

1942 წელს შოთა მახარობლიძე, სხვა გულანთებულ ქართველ ჭაბუკებთან ერთად ჩაება ფაშიზმის წინააღმდეგ წარმოებულ სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლებში. მაშინ ის სულ 18 წლის იყო. სამწუხაროდ, იგი ბოლომდე ვერ მიჰყვა თავის თანამებრძოლებს და მძიმედ დაჭრილი, ყავარჯნებით დაბრუნდა გორში 1944 წელს. აქედან იწყება შოთა მახარობლიძის მრავალმხრივი განათლებისა და პარტიულ-სამეურნეო თუ საზოგადოებრივი მოღვაწეობის ხანგრძლივი და ნაყოფიერი პერიოდი. გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ (1949 წ.) მას ვხედავთ სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე: გაზეთ „სტალინელის“ პასუხისმგებელი მდივანი, რადიოგადაცემათა რედაქტორი, ალკა გორის რაიკომის პროპაგანდა-აგიტაციის განყოფილების გამგე, გორის მუშა-ახალგაზრდობის სკოლის პედაგოგი, საქართველოს „მთავლიტის“ რწმუნებული, საქართველოს კომპარტიის გორის საქალაქო კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგე, მშრომელთა წერილების განყოფილების გამგე, გორის კულტურის განყოფილების გამგე, გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ საკუთარი კორესპონდენტი, გაზეთ „გამარჯვების“ რედაქტორი, ქარელის რაიკომის პირველი მდივანი, გორის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის დირექტორი, განათლების მუშაკთა პროფკავშირის რაიკომის საბჭოს თავმჯდომარე, გორის თეატრის სამხატვრო საბჭოს წევრი და ა.შ.

პარტიულ-სამეურნეო საქმიანობის პარალელურად შოთა მახარობლიძე ეწეოდა ფართო ლიტერატურულ

მოდვაწეობას. იმავდროულად იყო ჟურნალისტთა კავშირის წევრი, დამსახურებული ჟურნალისტი, გორის მწერალთა განყოფილების წევრი და სხვა. იგი გახლდათ პროზაიკოსი, დრამატურგი, პუბლიცისტი. მის კალამს ეკუთვნის პიესები: „შავი თვალები“, „უცნობი მეგობარი“, „დანგრეული ბუდე“, „კამეჩის უღელი“ და სხვა. ცალკე წიგნად გამოიცა მისი პიესა „დაბრუნება“ და საბავშვო პიესა „მეხვედრა“. შოთა მახარობლიძის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მის პიესებს „თაფლობის თვე“, „ნამცვრევი“, „ყოყ“, „ქალში ქალი“, „მეორედ მოსვლა“, „შვილი“ და სხვა.

შოთა მახარობლიძის მამულიშვილური გარჯა დაფასებულია წითელი დროშის ორდენითა და ათზე მეტი მედლით. მთავარი კი მაინც ფართო საზოგადოების სიყვარულია მისი უნიკალური პიროვნებისა და მრავალმხრივი მოღვაწეობის მიმართ.

„...ის ერთი გულიანი ქართველი იყო. ომის ჯაფა-ჯაფანება ჰქონდა გადატანილი. ერთხელ არ ახსენებდა ბრძოლას, ერთხელაც არ შეიქებდა სხვებივით თავს, მაგრამ სხვები ლაპარაკობდნენ, რომ სისხლიც ენახა და სიკვდილისთვისაც შეეხედა თვალებში. და ამ ნატანჯმა კაცმა შეძლო შეექმნა ისეთი გაზეთი, რომელმაც მოიცოცხლა ძველი, დახავსებული ტონი და მკითხველისადმი სატანური დამოკიდებულება, მისცა გზა შემოქმედ ჟურნალისტებს და გამოაცოცხლა სარედაქციო ცხოვრება...“ (ზაურ წაქაძე, „გორის მოამბე“, 14-20 აპრილი, 2000 წ.).

2000 წლის გაზაფხულზე „გზამართალს წავიდა მართალი კაცი“ (ჯემალ ინჯია) და უზომო ტკივილი დაუტოვა ოჯახს, ხუთ შვილს, ექვს შვილიშვილს, ნათესავებს, მეგობრებს, თანამოკალმეებს და თანამოაზრეებს.

მსუბუქი იყოს თქვენს ნაბრძოლ მკერდზე დაყრილი მშობლიური მიწა, ბატონო შოთა.

## მცურავიშვილი პავლე



მეორე მსოფლიო ომის ექო კვლავ ძალუმაღისმის მილიონობით შინმოუსვლელთა და მათი მონაგარის ოჯახებში. გავიდა სამოცდაათწელზე მეტი და იმ საშინელი ომის მიერ მოყენებული ჭრილობები დღესაც არ არის ბოლომდე მოშუშებული, დღესაც იწვევს თვალში ცრემლს და გულისტკივილს.

ქართველი ვაჟკაცი-სათვის, ისტორიულად, მთავარი მიზანი იყო და არის ოჯახის შექმნა-მოწყობა, მასზე

ზრუნვა და შთამომავალთათვის ღირსეული მომავლის უზრუნველყოფა. სამწუხაროდ პავლე მცურავიშვილს არ დასცალდა ღვთის მიერ დაკისრებული უწმინდესი მისიის ბოლომდე აღსრულება. 1941 წლის 22 ივნისს პავლე, სხვა თანატოლებთან და ძმასთან ალექსისთან ერთად გაიწვიეს ჯარში. ძნელი იყო მისთვის ახალგაზრდა ოჯახის მიტოვება, მაგრამ იგი გამარჯვებისა და მალე შინდაბრუნების რწმენით შეიარაღებული ჩაება სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებში გერმანული ფაშიზმის წინააღმდეგ. ჯერ კიდევ ფესვებმოუმაგრებელ ოჯახში დარჩა ახალგაზრდა მეუღლე ვერა ნასყიდაშვილი და ექვსი წლის ერთადერთი ვაჟი ანზორი.

პავლე მცურავიშვილი დაიბადა 1913 წლის 24 იანვარს

ქ. გორში, სიმონ ალექსის ძე მცურავიშვილისა და ეკატერინე ივანეს ასულ კასრაძის ოჯახში.

პავლეს მამა, სიმონი ყოფილა დურგალი-მეავეჯე. პყავდა სამი ვაჟიშვილი – ალექსი, პავლე, გიორგი.

პავლეს დედა, ეკატერინე კასრაძე იყო დიასახლისი. მის მამას, ივანეს, კაიკაცობითა და სიკეთით გამორჩეულ ადამიანს, ხალხმა მეტსახელად (თიკუნად) „წყალობა“ შეურჩია.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ პავლე მცურავიშვილი, ომის დაწყებამდე, მუშაობდა ბუღალტერ-მონაგარიშედ, პარალელურად კი სწავლობდა გორის პედაგოგიური ინსტიტუტის მათემატიკის ფაკულტეტზე.

მესამე კურსზე იყო, როდესაც დაიწყო ომი.

პავლეს მეუღლე, ვერა ნასყიდაშვილი, ომის დაწყებამდე მოღარედ მუშაობდა გორის საკონსერვო ქარხანაში.

პავლე მცურავიშვილის ხასიათში ბავშვობიდანვე მკვეთრად იყო გამოხატული სამართლიანობის ურყევი გრძნობა და სიჯიუტემდე მისული პრინციპულობა. იგი, როგორც ჭეშმარიტ ვაჟკაცს სჩვევია, ცდილობდა დამოუკიდებლად გაეკვლია გზა ცხოვრებაში. ამის დასადასტურებლად ისიც კმარა, რომ მან, თავისი საკუთარი ოჯახის შექმნის პირველივე დღეებიდან გადაწყვიტა ეცხოვრა ცალკე და საცხოვრებლად გადავიდა დაქირავებულ ბინაში იმ იმედით, რომ დაუღალავი შრომით მალე შესძლებდა საკუთარი სახლის აშენებას ან შეძენას.

ომის წლებში საყოველთაო გაჭირვებამ დაისადგურა ქვეყანაში. უჭირდა ყველას, მათ შორის ომში წასული პავლეს ახალგაზრდა ოჯახსაც. პავლეს მამამ სიმონმა თავისთან გადაიყვანა რძალი და შვილიშვილი ანზორი, რათა მზრუნველობა და პატრონობა არ მოეკლო მათთვის.

ფრონტიდან წერილები იშვიათად, მაგრამ მაინც მოდიოდა და ახლობელ-ნათესავები იგებდნენ ამბებს პავლეს შესახებ. 1944 წელს ბოლო წერილი მიიღო ოჯახმა, რომელშიც პავლე იტყობინებოდა, რომ იბრძოდა ბესარა-



**მოლდოვა. სოფ. სარატა-გალბენა.  
მარჯვნიდან – პავლეს მეუღლე ქალბატონი ვერა  
და ვაჟიშვილი ანზორი. 1969 წ. მაისი**

ბიის (ახლანდელი მოლდოვა) მიწაზე და მიიწვევდნენ წინ ფაშისტების ბუნაგისაკენ. ამ წერილის შემდეგ პავლეს შესახებ აღარავინ არაფერი იცოდა.

გადიოდა წლები, მაგრამ პავლეს შესახებ ოჯახმა ვერაფერი გაიგო. ასევე არ ჩანდა მისი უფროსი ძმა ალექსი. რაც შეეხება უმცროს ძმას გიორგის, იგი დაჭრილი დაუბრუნდა მშობლებს.

გადიოდა დრო, პავლე არ ჩანდა. პავლეს მამამ, სიმონმა გადაწყვიტა გამოეყენებინა ბოლო შანსი და წერილით მიემართა სტალინისათვის (ერთ დროს მათი საცხოვრებელი სახლები ერთმანეთის გვერდით იდგა და მეზობლობდნენ. სიმონისა და სტალინის ბოლო შეხვედრა თბილისში შემდგარა, როცა სიმონი ხელობას

სწავლობდა, ხოლო სტალინი სასულიერო სემინარიაში იმადლებდა (ცოდნას). მაშინდელ გორში რუსული ენის საუკეთესო მცოდნისათვის, ალექსანდრა (შურა) პოტაპოვასათვის უთხოვია წერილის ტექსტის შედგენა გულდამძიმებულ მამას. წერილის პასუხს დიდხანს არ დაუგვიანია. გორის სამხედრო კომისარიატში მოვიდა შეტყობინება, რომ პავლე მცურავიშვილი ითვლებოდა ომში უგზო-უკვლოდ დაკარგულთა სიაში.

მძიმე ტკივილმა დაიბუდა სიმონ მცურავიშვილის ოჯახსა და მის ახლობელთა გულებში.

წლები გადიოდა. ცხოვრება თავის გზას მიუყვებოდა. ამასობაში, პავლეს ერთადერთმა ვაჟიშვილმა, ანზორ მცურავიშვილმა დაამთავრა ჯერ საშუალო სკოლა, შემდეგ უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი და როგორც ინჟინერმა მუშაობა დაიწყო გორის ხელსაწყოთმშენებელ ქარხანაში ე.წ. „ზუსტებში“. შემდეგ იყო კვლევითი-სამეცნიერო ინსტიტუტის ღირექტორის მოადგილეობა და სხვა სამეურნეო-საწარმოო ორგანიზაციები. მან მალე მოიპოვა განათლებული, მორიდებული, შრომისმოყვარე და მაღალი დონის ინჟინერის სახელი. იგი დღესაც დიდი ავტორიტეტით სარგებლობს ფართო საზოგადოებაში.

ადამიანი იმედით ცოცხლობს და მცურავიშვილების ოჯახიც, მრავალი წლის განმავლობაში იმედით ცოცხლობდა, რომ პავლე აუცილებლად გამოჩნდებოდა. სამწუხაროდ, ამ იმედს გაცრუება ელოდა. 1969 წლის დასაწყისში ოჯახმა მიიღო შეტყობინება, რომ პავლე მცურავიშვილი განისვენებდა მოლდავეთის ერთ-ერთი სოფლის, სარატა-გალბენას სასაფლაოზე. იმედი სამუდამოდ ჩაიფერფლა. იმავე წლის მაისის პირველ რიცხვებში იტყობინებოდნენ, რომ 9 მაისს (გამარჯვების დღეს) იხსნებოდა მოლდავეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში გამირუღად დაღუპულთა ობელისკი და იწვევდნენ მცურავიშვილის ოჯახს.

ვახეთ „გამარჯვებაში“ (1969 წ. №98. 23 აგვისტო)

ცნობილი ჟურნალისტი დ. ჭანკოტაძე წერს:

„...მაშ, პავლე აღარ არის...“, „...აღარც ფიქრის დრო იყო, სამ დღეში ძეგლის გახსნა იყო დანიშნული...“, „...იმძლავრა ცრემლმა. მუხლებზე დაეცა ქართველი ქალი, ოცდახუთი წლის მანძილზე ასე უმწიკვლოდ რომ ატარა მეუღლის ხსოვნა და დედობის მანდილი“, „...გორული მიწა მოგიტანე“, – უჩუმრად ჩაჰღაღადებდა მეგობარს. „წამოდექ, შეხედე, ცეროდენა ბიჭი დამიტოვე და რა ვა-ჟაკაცი ჩამოგიყვანე...“

ასე დამთავრდა 31 წლის ქართველი ვაჟკაცის სიცოცხლე. კიდევ ერთმა ქართველმა ჰპოვა სამუდამო სასუფეველი სხვა ქვეყნის მიწაში. მის შთამომავლობას კი ნუგეშად დარჩება მეუღლისა და შვილის მიერ მის მკერდზე პეშევებად დაყრილი გორული მიწა.

პავლე მცურავიშვილს არასდროს დაივიწყებენ: შვილი ანზორი, შვილიშვილები მაია და ნინო (ექიმები) და შვილთაშვილები – ნიკა (ექიმი), გიორგი, ლუკა, სალომე, გვანცა და სოფო.

---

## ნაყოფია ჯემალი

ვინც იცნობდა ჯემალ ნაყოფიას, არავის დაავიწყდება მისი კეთილშობილური ხასიათი, ენერგიული საქმიანობა, გულთბილი დამოკიდებულება გარშემომყოფ ადამიანებთან, მაღალი პასუხისმგებლობა პირადი მოვალეობებისადმი და აღებული პირობის ერთგულება. ბუნებისგან დაჯილდოებული იყო იუმორისტული ნიჭით, ამიტომაც დიდსაც და პატარასაც უადვილდებოდა მასთან ურთიერთობა.

ჯემალ ნაყოფია დაიბადა 1944 წელს, პედაგოგების ოჯახში.

მამა, მელენტი ნაყოფია გახლდათ ზუგდიდის რაიონ-

ნის სოფელ დარჩელის სკოლის დირექტორი, ხოლო დედა, ქალბატონი ნათელა, ამავე სკოლის დაწყებითი კლასების პედაგოგი.

ინტელიგენტების ოჯახში დაბადებული ჯემალი პატარა ასაკიდანვე დაეწაფა სწავლას და წარმატებით დაამთავრა საშუალო სკოლა (1961 წ.). იმავე წელს მუშაობა დაიწყო ზუგდიდის ბამბის საქსოვ ფაბრიკაში მუშად. ნიჭიერმა და განსაკუთრებით მონდომე-



ბულმა ახალგაზრდამ სწრაფად და სრულყოფილად აითვისა მქსელავის პროფესია და მოკლე დროში დაწინაურდა ქვეოსტატის თანამდებობაზე.

სწავლა-განათლებისადმი სწრაფვა შინაგანი, თანმდევი ნიშან-თვისება გახლდათ ჯემალისთვის და სულ მალე იგი გახდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გორის ფილიალის სტუდენტი. ცოდნის ამადლების პარალელურად იგი განაგრძობდა მუშაობას მსუბუქი მრეწველობის ისეთ გიგანტ საწარმოში, როგორც იყო გორის ბამბეულის ქსოვილების კომბინატი.

დაუღალავმა სწავლამ და შრომამ უზრუნველყო ჯემალ ნაყოფიას მაღალი დონის ინჟინრად ჩამოყალიბება. აღნიშნულ კომბინატში მან შეიძინა მდიდარი პრაქტიკული გამოცდილება და თეორიული ცოდნით შეიარაღებულმა მალე დაიმკვიდრა განათლებული ტე-

ქნიკური მუშაკის სახელი. მან გაიარა რთული შრომითი გზა. სხვადასხვა წლებში იყო: მუშა, ქვეოსტატი, უფროსი ოსტატი, საამქროს უფროსი, საწარმოს უფროსის მოადგილე, წარმოების უფროსი და ა.შ.

ჯემალ ნაყოფია გამოირჩეოდა ასევე გამომგონებლობის ნიჭით. მას ეკუთვნის მრავალი რაციონალური წინადადება, რომელთაგან ბევრი პრაქტიკულად განხორციელდა და მნიშვნელოვანი ეფექტიც მოუტანა კომბინატს.

შემდგომ წლებში (1978-1981) ჯემალ ნაყოფია შრომით საქმიანობას ეწევა ჯერ ატენის საქსოვ ფაბრიკაში (დირექტორი), შემდეგ კი ახალციხის საქსოვ ფაბრიკაში (ტექნოლოგიური სამსახურის ხელმძღვანელი).

ახლობლების მონათხრობიდან: „...უყვარდა მეგობრების, მეზობლების, ნათესავების დახმარება, როგორც შეეძლო...“, „ხშირად ჩადიოდა მშობლიურ სოფელში და ესიყვარულებოდა ბავშვობის ადგილებს...“

ჯემალ ნაყოფიას ჰყავდა ძმა ჯონი (ისტორიკოსი), რომელიც გარდაიცვალა 1978 წელს. და, ქალბატონი მანანა, ასევე პედაგოგი (პენსიონერი).

მოსიყვარულე ოჯახი შექმნა ჯემალმა ქალბატონ ნანა კვიციანიასთან ერთად. მათ სამი შვილი აღუზარდეს ქვეყანას (მაია, მარია, დათო).

ჯემალ ნაყოფიას ჰყავს შვილიშვილები – ხატია, თორნიკე, გიორგი.

გაზეთ „გორელი ფეიქრის“ 1981 წლის 2 ოქტომბრის ნომერში ვკითხულობთ: „უდროოდ და მოულოდნელად შეწყდა ჯემალ ნაყოფიას სიცოცხლე. წავიდა ჩვენგან და დაგვიტოვა ნათელი ხსოვნა“.

დაკრძალულია მშობლიური სოფლის საგვარეულო სასაფლაოზე.

## ნოზაძე გიორგი

ყველა დროში და ყოველ საზოგადოებრივ ფორმაციაში ახალგაზრდობა (მომავალი თაობა) იყო, არის და იქნება ხელისუფალთა მუდმივი საზრუნავი, რადგან სწორედ განათლებული და პატრიოტული სულისკვთებით აღზრდილი ახალგაზრდობა წარმოადგენს ქვეყნის განვითარებისა და წინსვლის უპირველეს გარანტიას.


რაოდენ დასანანი და სამწუხარო, რომ არც თუ იშვიათად, ახალგაზრდები მსხვერპლნი ხდებიან გაუგებრობის, უყურადღებობის თუ ყოფითი სიტუაციებისა და გაუფრთხილებლობის გამო.

გიორგი (გოგიტა) ნოზაძე სასიკვდილოდ გაიმეტეს მისმა თანატოლებმა ურთიერთშეღაპარაკებისას წარმოშობილი დაპირისპირების დროს, გორიდან რამდენიმე კილომეტრში, რესტორან „გუდაბერტყიასთან“, 1998 წლის 15 ნოემბერს.

გიორგი (გოგიტა) ნოზაძე დაიბადა 1974 წლის 24 დეკემბერს ღია ტარიელის ასულ მახარაშვილისა და მერაბ სერგოს ძე ნოზაძის (ინჟინერ-ეკონომისტი) სტუმართმოყვარე ოჯახში. ამავე ოჯახში გაიზარდა გიორგის და ქეთი (ბიოლოგიის სპეციალისტი).

გიორგიმ ბავშვობიდანვე მიიპყრო ყურადღება კარგი სწავლითა და სპორტისა და მხატვრული თვითშემოქმედებისადმი განსაკუთრებული ლტოლვით. იგი ჩართული იყო საბავშვო დრამატულ წრეში და რამდენიმე სპორტულ სექციაში. მისმა სწრაფვამ და დაუღლელმა ვარჯიშმა და შრომამ თავისი დადებითი შედეგები გამოიღო, რაც გამოიხატება მის მიერ მიღებულ მრავალ სიგელში, დიპლომში, პრიზში და მადლობაში.

1990-იანი წლების გორში გამომავალ გაზეთებს შემორჩა წერილები მისი წარმატებების შესახებ. გან-



საკუთრებით დიდი ყურადღება მიიპყრო მის მიერ შესრულებულმა ლუარსაბ თათქარიძის როლმა საბავშვო პიესაში.

გიორგი (გოგიტა) ნოზაძემ 1992 წელს დაამთავრა გორის მე-4 საშუალო სკოლა და სწავლა გააგრძელა გორში, სუხიშვილების უნივერსიტეტის კვების მრეწველობის ტექნოლოგიის სპეციალობით, მაგრამ არ დასცაღდა. უდროოდ შეწყდა ახალგაზრდა კაცის სიცოცხლე. საბედნიეროდ, მან ეკა ახალკაცთან (გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგი) ერთად შექმნა მოსიყვარულე ოჯახი.

გიორგის ქალიშვილი ლიკა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტია (ჟურნალისტიკა), ხოლო ვაჟიშვილი ლუკა (წარმატებული ფეხბურთელი ჭაბუკთა შორის) მე-11 კლასის მოსწავლეა.

მეგობრები (გოჩა, ალიკა, დათო) თბილი სიტყვებით იგონებენ გიორგისთან ერთად გატარებულ წლებს და ასე ახასიათებენ მას: „...იგი იყო ურთიერთობაში ძალიან თბილი და ყურადღებიანი. ყოველთვის მზად იყო მხარში ამოსდგომოდა გაჭირვებულს. იყო საოცრად კომუნიკაბელური და ხელგაშლილი სტუმართმოყვარე. იგი დააკლდა ქალაქ გორის ახალგაზრდობას...“

აღარ გეჟერა ბოროტებაზე სიკეთის გამარჯვებისო, გულისტკივილით აღნიშნავენ გიორგის მეგობრები.

გიორგი (გოგიტა) ნოზაძე დაკრძალულია გორში, კვერნაქის სასაფლაოზე.

მსუბუქი ყოფილიყოს მის მკერდზე დაყრილი გორის მიწა.

## ჟიჟიაშვილი ლევანი



ლევან ჟიჟიაშვილმა და ამ წიგნის ავტორმა ერთად შევადეთ თბილისის სტალინის სახელობის (მაშინ ასე იწოდებოდა) სახელმწიფო უნივერსიტეტის კარები. ეს იყო 1951 წელს. მაშინ ვინ წარმოიდგენდა, რომ სულ რაღაც 20-25 წლის შემდეგ ლევან ჟიჟიაშვილი ჩადგებოდა იმ საყოველთაოდ აღიარებულ ადამიანთა რიგებში, რომლებმაც მსოფლიოში გაუთქვეს სახელი ქართულ მათემატიკურ სკოლას.

ლევან ჟიჟიაშვილი დაიბადა 1934 წლის 12 მარტს დუშეთის რაიონის სოფელ ხორხში. დაამთავრა დუშეთის, ვაჟა-ფშაველას სახელობის საშუალო სკოლა და დიდი ნაბიჯებით ამაყად გადაინაცვლა უნივერსიტეტის აუდიტორიებში. დაიწყო სწავლებისა და სწავლის სტუდენტური ხუთწლელი.

ლევანი და მე ხუთი წლის განმავლობაში ერთად ვცხოვრობდით სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში. შემიძლია სიამაყით აღვნიშნო, რომ ჩემს გვერდით

ყალიბდებოდა მომავალი დიდი მეცნიერი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე და ეს იმ პირობებში, როდესაც: ხშირად გვშიოდა და გვწყუროდა, არ გექონდა საკმარისი რაოდენობით სახელმძღვანელოები, ჩვენ თვითონ ვიმზადებდით საუზმეს და ვახშამს, არ გაგვაჩნდა იმ დროისთვის შესაფერისი ტანსაცმელი თუ ფეხსაცმელი, ლექციებს ვიწვრდით ფანქრით (მაშინ არ არსებობდა ე.წ. „პასტა“. მელნიანი კალამიც იშვიათობა იყო) და ა.შ.

უნდა აღინიშნოს, რომ საკმაოდ მკაცრი იყო მოთხოვნები სწავლებისა და სწავლის ხარისხის მიმართ. არავითარი შეღავათი, არავითარი ლიბერალიზმი, ხაზგასმული ობიექტურობა, უმაღლესი დონის წესრიგი და პასუხისმგებლობა და ა.შ. მაგრამ სტუდენტი რის სტუდენტიცაა თუ ცოტა არ იზარმაცა, ცოტა არ გააცდინა, ცოტა არ დააგვიანა, ზოგჯერ თუ არ იცუდლუტა და სხვა.

ერთადერთი გახლდათ ლევან ჟიჟიაშვილი, რომლისთვისაც არავითარი სხვა (კინო, სტადიონი, ლუდის ბარი, დომინო, ბანქო) არ არსებობდა, გარდა სწავლისა. მეცადინეობდა უწყვეტ რეჟიმში, დღეც და ღამეც (ე.წ. წითელ კუთხეში, რომ სხვები არ შეეწუხებინა სინათლის შუქით), არ ჰყოფნიდა 24 საათი. ავიწყდებოდა საჭმელიც, ძილიც, მცირედი გართობის საშუალებასაც კი არ აძლევდა თავს. არც ექსკურსიებს ეტანებოდა – დროს ვკარგავო, იტყოდა ხოლმე. ერთხელ ძალით წავიყვანეთ ახალი ქართული ფილმის სანახავად, მაგრამ დარბაზიდან გაგვეპარა. ღამის სეანსის შემდეგ ერთმა კახელმა სტუდენტმა დაქირავებულ ბინაში მიგვიწვია პურმარილზე. სტუდენტულაქში რომ დავბრუნდით იქნებოდა ღამის 2-3 საათი. ლევანს წითელი კუთხის მაგიდაზე ჩასძინებოდა. ფრთხილად გადავიყვანეთ თავის საწოლში.

ლევანი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს შორის. მის სიტყვას დიდი ფასი ჰქონდა. მახსენდება ასეთი ეპიზოდი:

ჩვენი ფაკულტეტის ფეხბურთელები აგებდნენ პირველ ტაიმს ორი ბურთით. „მწვრთნელმა“ (მესუთეკურსელმა) არ შემიყვანა შემადგენლობაში – პატარა ხარ, ვერ გაუძლებო. ბევრი ვეხვეწე, ვემუდარე, მაგრამ ამაოდ. ლევანმა რაღაც ჩასჩურჩულა ყურში და „მწვრთნელმაც“ – „კარგი, აბა მიდი, ვნახოთ, რას წარმოადგენო“. ის თამაში მოვიგეთ ორი ბურთის უპირატესობით. ლევანი ამ ამბის შემდეგ, მოფერებით ბობროვს (ცნობილი რუსი ჰოკეისტ-ფეხბურთელი) მეძახდა და თან მხრებზე ხელს მომითათუნებდა ხოლმე.

უნივერსიტეტის (მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის) პროფესორ-მასწავლებლებმა უკვე პირველი სემესტრის შემდეგ დაინახეს ლევანში მომავალი დიდი მეცნიერის საწყისები და აღარც გაუშვიათ ყურადღების არეალიდან. მე-3 კურსიდან მოხდა სტუდენტების გადანაწილება სამ სპეციალობაზე – სუფთა მათემატიკა, მექანიკა და ასტრონომია. ლევანმა აირჩია მათემატიკა, მე კი მექანიკა, მოხდა ისე, რომ უნივერსიტეტის კედლებში განცალკევებით ვაგრძელებდით სწავლას, თუმცა ისევ ერთად ვცხოვრობდით საერთო საცხოვრებელში.

უნდა აღინიშნოს, რომ „ვიწრო“ სპეციალობის შერჩევა ხდებოდა კონსენსუსის საფუძველზე. სტუდენტი აკეთებდა არჩევანს, ხოლო პროფესორ-მასწავლებლები იძლეოდნენ რეკომენდაციას. ამ ორი პოზიციის შეჯერებით ლევან ჟიჟიაშვილს საბოლოოდ განესაზღვრა სამომავლო სამეცნიერო გზა და კარიერა. დღეს თამამად და საფუძვლიანად შეიძლება ითქვას, რომ არჩევანი იყო სავსებით სწორი და პერსპექტიული. ლევან ჟიჟიაშვილმა უფრო სწრაფი ტემპით დაიწყო მეცნიერების მწვერვალებისკენ სვლა.

სწავლისა და მეცნიერული თუ საზოგადოებრივი მოღვაწეობის ეტაპები:

1956 წელი – დიპლომირებული სტუდენტი-მათემატიკოსი;

1956 წლიდან – უნივერსიტეტის ასპირანტურა;  
1961 წელი – დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია;  
1967 წელი – მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია ფუნქციათა თეორიისა და ფუნქციონალური ანალიზის სფეროში.

1968 წელი – მშობლიური უნივერსიტეტის ფუნქციათა თეორიისა და ფუნქციონალური ანალიზის კათედრის პროფესორი, ხოლო 1978 წლიდან ამავე კათედრის გამგე;

1974 წელი – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი;

1993 წელი – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი.

ლევანს მინიჭებული ჰქონდა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ლევან შიშიაშვილის 100-ზე მეტმა სამეცნიერო შრომამ და ათამდე მონოგრაფიამ დამსახურებული აღიარება მოიპოვა მსოფლიოს მეცნიერთა წრეებში. მან შექმნა ფუნქციათა თეორიისა და ფუნქციონალური ანალიზის ახალი ქართული სკოლა. მან გამოზარდა მრავალი კანდიდატი და დოქტორი. მის მიერ გამოჭედილი მათემატიკოსთა პლეადა დღესაც წარმატებით იღვწის ქართული მათემატიკური სკოლის სადიდებლად.

ლევან შიშიაშვილი სხვადასხვა წლებში იყო მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანი, ხარისხების მინიჭების სპეციალიზებული საბჭოს თავმჯდომარე, სამეცნიერო ჟურნალების რედკოლეგიის აქტიური წევრი და სხვა.

მეამაყება, როგორც მის კოლეგას, რომ ლევანს, დიდი ხნით ადრე, უწოდეს „გამოჩენილი ქართველი მათემატიკოსი“. ბედნიერი ვარ, რომ მას ვიცნობდი.

რამდენიმე ადამიანური ნიშან-თვისება.

ლევან შიშიაშვილი გამოირჩეოდა გარეგნული მიმზიდველობით – იყო მაღალი, განიერი მხრებით დაკვირვე-

ბული მზერით და თბილი ღიმილით. იყო უაღრესად პატიოსანი, კეთილი, ხელგაშლილი და იმავდროულად საოცრად მოკრძალებული და მორცხვიც კი (განსაკუთრებით მანდილოსანთა წრეში). ჭადრაკს (როგორც ბევრი მათემატიკოსი) კარგად თამაშობდა, მაგრამ მოგებას მაინცდამაინც არ ცდილობდა, ვაი თუ მეტოქეს გული ვატკინო და მე-10 ან მე-12 სვლაზე ყაიმს სთავაზობდა. საერთო საცხოვრებლის ყოველ გაჭირვებულ სტუდენტს მისი ვალი ჰქონდა, მაგრამ არასდროს მოუთხოვია სესხის დაბრუნება. თვითონ არ შეჭამდა და სხვას უწილადებდა. თვითონ არ ჩაიცვამდა და სხვას აცმევდა; ჯერ სხვებს ეხმარებოდა და მერე თავის საშინაო დავალებებს მიხედავდა ხოლმე. სულ იმას გვეუბნებოდა, დროს უქმად ნუ დაკარგავთო. არ უყვარდა თავის წინა პლანზე წამოწევა, ჩრდილში ყოფნას ამჯობინებდა, მაგრამ აბეზარა გოგონა-სტუდენტები მოსვენებას არ აძლევდნენ, ათას რამეს მოიმიზეზებდნენ, რომ მის გვერდით ყოფილიყვნენ. გოგონები მასში ხედავდნენ მომავალი ცხოვრების საუკეთესო მეგობარს, მაგრამ, როგორც არცთუ იშვიათად ხდება ხოლმე, მეცნიერებაში სულით და ხორციით ჩაფლულმა კაცმა დრო ვერ გამოინახა თავისი პირადი ცხოვრების მოსაწყობად; როგორც იტყვიან – მას არ ეწერა ოჯახური სიტბოთი ტკბობა და მონაგარზე ზრუნვა.

2006 წელს შეწყდა დიდი მეცნიერის, პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის გულისცემა. დაკრძალეს თბილისში, ხოლო მოგვიანებით ლევანის დისშვილმა, შორენა თეთრუაშვილმა მისი ნეშტი გადაასვენა დუშეთის რაიონის სოფელ არანისში და ადგილი მიუჩინა თავისი გარდაცვლილი მშობლების გვერდით.

მარადიული ყოფილიყოს ხსოვნა კაცისა, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა ქართულ მეცნიერებას და თავის წილად არ მოუთხოვია მცირედი ბედნიერებაც კი.

## ქარელი კობა

საზოგადოებაში ხშირად დაუსვამთ კითხვა – მაინც როგორ მოაღწია დღემდე ჩვენმა მუდამ მცირერიცხოვანმა ერმა და ქვეყანამ, როცა იგი, საუკუნეების განმავლობაში, იმყოფებოდა და ახლაც იმყოფება საქართველოსადმი მტრულად განწყობილ სახელმწიფოთა გარემოცვაში. დიახ, გადაურჩით და დღემდე მოვალწიეთ, სწორედ რომ კობა ქარელის მსგავსი ვაჟკაცების წყალობით, შრომითა და ბრძოლით.



სამშობლოსათვის გულანთებულ კაცს რომ იტყვიან, სწორედ კობა ქარელს ეკუთვნის ეს ეპითეტი უმეტესად. სადაც ქვეყანას უჭირდა, იგი უმალ იქ გაჩნდებოდა ხოლმე და თავის ერთგულებას მშობლიური ხალხის მიმართ უანგაროდ ამტკიცებდა. ეს მხოლოდ ღამაზი სიტყვები როდია... კობამ თავისი ხანმოკლე სიცოცხლითაც კი დაამტკიცა ის, რომ ვაჟკაცის უპირველესი ამოცანა და მიზანი, სწორედ სამშობლოსათვის დაუღალავი შრომა და თავგანწირული ბრძოლაა.

კობა ქარელი დაიბადა 1960 წლის 15 აგვისტოს გორის რაიონის სოფელ ტყვიავში, მრავალშვილიან ოჯახ-

ში (სამი ძმა, ერთი და).

1977 წელს დაამთავრა ტყვიავის საშუალო სკოლა და სწავლა გააგრძელა თბილისის სახელმწიფო პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სამოქალაქო სამრეწველო მშენებლობის სპეციალობით.

მალე გაირბინა სტუდენტობის წლებმა და 1984 წელს, კობა ქარელი, უკვე დიპლომიანი ინჟინერი, მუშაობას იწყებს ქ. გორის მესამე სამშენებლო ტრესტში მშენებელ-ინჟინრად. აქედან დაიწყო კობას ხანმოკლე, მაგრამ საკმაოდ ნაყოფიერი შრომითი ბიოგრაფია.

1988-1989 წლებში კობა ქარელი გაიწვიეს საგაღდეფლო სამხედრო სამსახურში. აღსანიშნავია, რომ სამხედრო პროფესიის მიღებისა და განმტკიცების პარალელურად, იგი აქტიურად იყო ჩაბმული მისი სამხედრო ნაწილის დისლოკაციის რაიონის გზების მშენებლობაში, რითაც დაიმსახურა ხელმძღვანელთა პატივისცემა და არაერთი მადლობა.

სამხედრო სამსახურიდან დაბრუნებისთანავე კობა ქარელმა მუშაობა დაიწყო მშობლიურ სოფელ ტყვიავში მთავარ ინჟინერ-მშენებლად. იგი გამოირჩეოდა საოცარი ენერგიითა და აქტიურობით. ჩქარობდა და ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი გაეკეთებინა თავისი ხალხისა და სოფლისათვის. ჩაფიქრებული ჰქონდა მრავალი ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველაფრის გაკეთება არ დასცალდა, თუმცა ის, რაც გააკეთა, დღესაც საამაყოდ აქვთ მის თანასოფლელებს. მისი თავგამოდებული სამეურნეო მოღვაწეობა არ დარჩენილა ხალხის ყურადღების მიღმა. მას დამსახურებული ნდობა გამოუცხადეს და აირჩიეს ტყვიავის თემის საკრებულოს თავკაცად. ასეთ მაღალ ნდობას გაათკეცებული ენერგიით უპასუხა კობამ და

თავისი შესაშური მონდომება მთლიანად შეაღია სოფლის კეთილდღეობას.

ეს ის პერიოდი იყო, როდესაც ახალი ენერგიით იფეთქა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ, იწყებოდა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ახალი ეტაპი. გააქტიურდნენ სეპარატისტული ძალები და თავისი მოღალატური ქმედებებით სერიოზულ ზიფათს უმქნიდნენ ქვეყნის უსაფრთხოებას.

აბა ვინ, თუ არა კობა ქარელი და მასავით ვაჟკაცური სულისკვეთებით აღსავსე ქართველი ბიჭები უნდა ჩამდგარიყვნენ ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესების დაცვის საქმეში.

სოფლის თავკაცს უამრავი საქმე და საზრუნავი აქვს, მაგრამ კობა ყველაფერს ასწრებდა და აგვარებდა. იმ დღეებში კი იარაღსაც მოჰკიდა ხელი და თავის ერთგულ სამშოსთან ერთად ჩაება სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლაში გათავსედებული სეპარატისტებისა და მათი კბილებამდე შეიარაღებული მხარდამჭერებისა და წამქეზებლების წინააღმდეგ. ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა იყო კობასი და მისი სამშოს წმიდათაწმინდა ვალი და მათ ღირსეულად დაიცვეს ქართველი მებრძოლის ღირსება.

1992 წლის 12 მაისს დატრიალდა ტრაგედია. თანამებრძოლთა სულმდაბლობისა და დაღალტის გამო კობა და მისი სამშო პირისპირ დარჩნენ სეპარატისტებისა და მათი სულისჩამდგმელების მრავალრიცხოვანი და დამხმარე ძალებით გამავრებული შენაერთების წინააღმდეგ.

რვა ვაჟკაცი, ერთ მუშტად შეკრული, უკანასკნელ ტყვიამდე იბრძოდა, მაგრამ... „ძალამ აღმართი მოხნა“.

ტყვედაყვანილები სასტიკი წამებით მოკლეს. ამბო-

ბენ, კობა ქარელი, უკანასკნელ წუთებში „შავლეგოს“ მღეროდაო.

ეს ამბავი მოხდა სოფელ ფრისთან.

იმ საბედისწერო 12 მაისს დაიბადა კიდევ რვა ქართველი გმირი (ოთხი მათგანი ტყვიაველი იყო, ერთი ტყვიავში გაზრდილი თბილისელი, ორი სოფელ ერედვიდან და ერთიც ქორდიდან). სამარადისო დიდება მათ ხსოვნას. მსუბუქი ყოფილიყოს მათთვის მკერდზე დაყრილი სამაჩაბლოს მიწა.

## ქარელი მიხეილი

1992 წელი... მაისი... შავდრუბლიანი უფერული ცა... ამჯერად არავარდობის თვე...

გორის რაიონის სოფელ ტყვიავში, 1965 წლის სექტემბერში, სტეფანე და შუშუნა ქარელების მყუდრო და ტრადიციულ ოჯახში დაიბადა ქართველი ვაჟკაცი, რომელსაც მიეხილი დაარქვეს.

სწავლობდა, შრომობდა... უყვარდა ყველა...

უყვარდა ქვეყანა, სადაც ცხოვრობდა.

უყვარდა მამული



და შრომა.

იყო ღიმილიანი ვაჟკაცი, რომელსაც ღვთის მიერ ნაბოძები მისაღმება და კეთილი მოკითხვა არასდროს ავიწყდებოდა.

მიშიკოს ყველა ძალიან უყვარდა და ისიც ყველამ შეიყვარა.

ძალა და ღონეც სათანადოდ ერჩოდა ამ კარგ ქართველ ყმაწვილ კაცს.

სხვის ტკივილსაც ისმენდა და სხვისი მხარში დგომაც იცოდა.

იყო სპეტაკი და ენერგიული. პირველივე დახმარების მანქანაში ტყვიავიდან სასომხეთში გაჩნდა, როცა მეზობელ ქვეყანას სტიქიური უბედურება დაატყდა თავს.

ჩერნობილის (უკრაინა) უბედურების გამზიარებელიც იყო.

აბა ის რა გასაკვირი იყო, აქვე, მის მამა-პაპისეულ მამულიდან რამდენიმე კილომეტრში, გაჭირვებულ, ალყაში მოქცეულ ქართველებს დახმარებოდა?! და წუთითაც არ დაუყოვნებია, მაგრამ...

1992 წლის 12 მაისს, იმ ვერაგულ ბრძოლაში დაიღუპა სიცოცხლით სავსე, ბრვე, ჯანდონიანი ქართველი ახალგაზრდა, ის ხომ მხოლოდ ცხოვრებას იწყებდა...

სწორედ იმ დღის მერე იქცა გაზაფხულის ვარდობის თვე შავ მაისად მისი დიდი ოჯახისთვის, ახლობლებისა და მეზობლებისათვის.

მიხეილ ქარელი ძალიან, ძალიან ბევრ კეთილ საქმეს გააკეთებდა თავისი ქვეყნისათვის. ვაი, რომ არ დასცალდა.

ის ხომ მხოლოდ ოცდაექვსი წლის წავიდა...

## ცერცვაძე გიორგი



ბანალური ჭეშმარიტება და ფაქტია, რომ პატიოსანი და თავდაუზოგავი შრომით არის შესაძლებელი წარმატების მიღწევა და დიდების მწვერვალებსკენ მიმავალი ეკლიანი გზის ღირსებით გაგლა. ისიც ფაქტია, რომ რაც კი ჩვენს გარშემო საუკეთესო არსებობს და რაც კი საყოველთაო აღტაცებას იწვევს – მშრომელი ადამიანების უანგარო მოღვაწეობის შედეგია და ნაყოფი.

სწორედ რომ გიორგი ცერცვაძისნაირი ადამიანები ქმნიდნენ და ქმნიან იმ ეროვნულ ღირებულებებს და მატერიალურ დოვლათს, რაც სასიცოცხლოდ ესაჭიროება ნებისმიერი საზოგადოების განვითარებას და აღმასვლას, ადამიანთა კეთილდღეობის უზრუნველყოფას და საამო საყოფაცხოვრებო გარემოს შექმნას.

გიორგი ცერცვაძეს საოცრად მდიდარი და საინტერესო შრომითი ბიოგრაფია აქვს. იგი დაიწყო მაშინ, როდესაც გიორგი სულ 14 წლის იყო და ეს გამოწვეული იყო იმით, რომ გიორგის მამა ვეღარ დაბრუნდა მეორე მსოფლიო ომიდან და ჯერ კიდევ მცირეწლოვან ყმაწვილს ბედმა არგუნა მრავალრიცხოვან ოჯახზე ზრუნვა.

გიორგი ცერცვაძე დაიბადა გორის რაიონის სოფელ

ზედღულეთში 1927 წლის 21 მაისს ხელგამრჯე გლეხის, ალექსანდრე ცერცვაძის ოჯახში. ალექსანდრე ცერცვაძე ცნობილი იყო, როგორც პურის საუკეთესო მცობელი. მან, მეუღლე სიდა გენგიურთან ერთად, ქვეყანას გაუზარდა ოთხი შვილი: ვახტანგ, რობერტ, გიორგი და მანია ცერცვაძეები. აღსანიშნავია, რომ სამივე ძმა სანიმუშოდ ფლობდა მექანიზატორის პროფესიას. ვახტანგი და რობერტი ამჟამად პენსიონერები არიან. მანია ცერცვაძე გახლდათ დიასახლისი (გარდაიცვალა 2008 წელს).

გიორგი ცერცვაძის მეუღლე, გულნაზი თინიკაშვილი, ამჟამად პენსიონერია.

მკითხველისათვის კარგად არის ცნობილი, თუ როგორი მძიმე იყო ხალხისთვის მეორე მსოფლიო ომისა და მისი შემდგომი რამდენიმე წელი. მამაკაცების უმრავლესობა ფრონტებზე იყვნენ წასულები და საოჯახო ტვირთის ზიდვა მეტწილად ქალებისა და ბავშვების ხვედრი იყო.

შეიძლება ითქვას, რომ ბავშვებსაც ორ ფრონტზე უწევდათ გარჯა – უნდა ესწავლათ და უნდა ეშრომათ, რათა როგორმე გაეძღოთ საყოველთაო შიმშილის, სიბნელისა და სიცივის ატმოსფეროში. ჰოდა, გიორგი ცერცვაძეც ჩაება უძნელეს ბრძოლაში და ერთიანი წარმატებით ართმევდა თავს როგორც სწავლას, ისე შრომას.

1941 წელს (14 წლის ასაკში) გიორგი ცერცვაძე გააგზავნეს სურამში არსებულ ტრაქტორისტთა მოსამზადებელ სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგ მას, როგორც უკვე კვალიფიციურ სპეციალისტს, მიანდეს ტრაქტორის დამოუკიდებლად მართვის საქმე.

ხანგრძლივი და ნაყოფიერი შრომის პერიოდში გიორგი ცერცვაძე იყო: ახალსოფელის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის (მტს) ტრაქტორისტი (1941-1947), სოფელ ბერშუეთის უბნის მტს-ის ბრიგადირი (1947-1958), სოფელ

ზედღუღეთის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი (1958-1969), სოფელ მეჯვრისხევის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი (1969-1985) და ა.შ.

მუხლმოუხრელი შრომის პარალელურად გიორგი ცერცვაძე სისტემატურად იმაღლებდა თეორიულ ცოდნას, როგორც სოფლის მეურნეობის წარმატებული მუშაკი. მან 1968 წელს წარჩინებით დაამთავრა მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის ქ. წულუკიძის სასწავლებელი ტექნიკოს-მექანიკოსის კვალიფიკაციით, რაც მისი შემდგომი წარმატებებისა და აღიარების საწინდარი გახდა. იგი გაათკეცებული ენერგიით განაგრძობდა როგორც სამეურნეო, ისე საზოგადოებრივ მოღვაწეობას. მისი შრომა არ დარჩენილა ხელისუფლების ყურადღების მიღმა, რაზედაც მკაფიოდ მეტყველებს მის მიერ მიღებული წოდებები, ჯილდოები, სიგელები და მადლობები. მოკლე ჩამონათვალი: „წარჩინებული ბრიგადირის“ სამკერდე ნიშანი, საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სასოფლო და რაიონული საბჭოების დეპუტატი, პარტიული ბიუროსა და აღმასკომის წევრი, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი, ლენინის ორდენი, სხვადასხვა საიუბილეო მედალი, სოციალისტური შრომის გმირის უმაღლესი წოდება, რესპუბლიკის დამსახურებული მექანიზატორი, „დამსახურებული დამრიგებელი“, საპატიო სიგელი სახალხო კონტროლის სამსახურში აქტიური მონაწილეობისათვის, მადლობა საკავშირო კონკურსის მომზადების პროცესში აქტიური საქმიანობისთვის, სამახსოვრო მედალი „თბილისობა-84“ და სხვა.

არც ბეჭდვითი მედია აკლებდა ყურადღებას გამოჩენილ სამეურნეო მუშაკს. მრავალი წერილი, ნარკვევი და ბროშურა მიეძღვნა გიორგი ცერცვაძის შრომით მოღვაწეობას და მის აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას: წიგნი „გმირთა თანავარსკვლავედში“ (1981), ვახტანგ



# ИНФОРМАЦИОННЫЙ ЛИСТОК

№2

Р/О «ГРУЗСЕЛХОЗТЕХНИКА» СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР  
ИНСТИТУТ КОНСТРУКТОРСКО-ТЕХНОЛОГИЧЕСКОГО ПРОЕКТИРОВАНИЯ И  
ЭКОНОМИЧЕСКОГО ПРОГНОЗИРОВАНИЯ («ИКТЭ»)

“Механизатор – центральная фигура сельского хозяйства”

Л. И. Брежнев



ПРОСЛАВЛЕННЫЙ МЕХАНИЗАТОР, ГЕРОЙ СОЦИАЛИСТИЧЕСКОГО ТРУДА  
ГЕОРГИЙ ЦЕРЦВАДЗЕ

გორგანელის ბროშურა „ტირიფონზე შრიალებს ყანა“ (1977), გაზეთები „სოფლის ცხოვრება“ (1964), „გამარჯვება“ (1976), „ზარია ვოსტოკა“ (1983), „ინფორმაციონნი ლისტოკ“ (№12, 1977) და სხვა.

როგორც ახლობელ-ნათესავები, მეგობრები და მე-

ზობლები იგონებენ, გიორგი ცერცვაძე ყოფილა საოცრად თბილი ადამიანებთან ურთიერთობაში, კეთილმოსურნე და სამართლიანი, პატიოსანი და პრინციპული, იმავდროულად დინჯი და სიტყვაძუნწი, თავმდაბალი და სტუმართმოყვარე.

„...ვიცნობდი, როგორც კარგ მეზობელს; დაკისრებულ მოვალეობას ასრულებდა პატიოსნად და კეთილსინდისიერად; ...მისი ხელმძღვანელობით რეკორდულ მოსავალს ვღებულობდით; მას იცნობდნენ მთელ რესპუბლიკაში; ამხანაგობაში და მეგობრობაში იყო სანიმუშო; იზიარებდა ხალხის ჭირსაც და ღხინსაც; ...ხალხმა შეიყვარა იგი...“ (ვ. სამადალაშვილი).

„...მისი ბრიგადა იყო ყოველთვის მოწინავეთა რიგებში; რაიონში და საერთოდ რესპუბლიკაშიც სარგებლობდა კარგი ავტორიტეტით; იყო თავისი საქმის, ხალხისა და ქვეყნის პატრიოტი; იყო პატიოსანი და უმწიკვლო ადამიანი...“ (ვალერი ცერცვაძე).

გიორგი ცერცვაძემ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებაში ზოგადად და სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიური პროცესების მექანიზაციის საქმეში კერძოდ. ყოველთვის წარმატებული და მისაბაძი იყო საზოგადოებრივ მოღვაწეობაში.

გიორგი ცერცვაძე გარდაიცვალა 2007 წლის 27 სექტემბერს. დაკრძალულია გორის რაიონის სოფელ ზედდულეთის სასაფლაოზე.

გიორგი ცერცვაძეს ჰყავს შვილი ნათია, რომელმაც დაამთავრა გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი და შრომით მოღვაწეობას აგრძელებს მშობლიურ სოფელ ზედდულეთში უფროსი სპეციალისტის სტატუსით.

გიორგი ცერცვაძეს ჰყავს ორი შვილიშვილი – გიორგი (4 წლის) და ლუკა (11 თვის) ნასყიდაშვილები.

## ჯამბრიშვილი ივანე

ივანე (ვანო) ვლადიმერის ძე ჯამბრიშვილი დაიბადა 1928 წლის 20 თებერვალს ქ. გორში მუშის ოჯახში.

1927 წელს მშობლებმა იგი შეიყვანეს ქ. გორის პირველ არასრულ საშუალო სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგ იგი სწავლას აგრძელებს გორის პირველ საშუალო სკოლაში. შემდეგ კი ივანე ჯამბრიშვილს წილად ხვდა ბედნიერება გამხ-



დარიყო ქ. გორის სამასწავლებლო ინსტიტუტის (1937) ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტი.

როგორც შემდგომმა წლებმა აჩვენა მათემატიკა იყო ივანე ჯამბრიშვილისათვის შინაგანი მოწოდება და ისიც საფუძვლიანად დაეუფლა მათემატიკოსის საპატიო და რთულ პროფესიას.

1980 წელს, ქ. გორის განათლების განყოფილების გამგე ქალბატონი ნანა კახნიაშვილი ასე ახასიათებს მათემატიკის ღვაწლმოსილ პედაგოგს: „...ივანე ჯამბრიშვილს აქვს პედაგოგიური მუშაობის 41 წლისა და ხელმძღვანელ პედაგოგიურ თანამდებობებზე მუშაობის 28 წლის სტაჟი. იგი არის პრინციპული პირდაპირი და ობი-

ექტური. მისი გაკვეთილები ყოველთვის გამოირჩეოდა მაღალი იდეურობითა და მეცნიერული სისრულით. ნაყოფიერი პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის ივანე ჯამბრიშვილი დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ ორდენით, „სახალხო განათლების წარჩინებულის“ ნიშნით და სხვა. მინიჭებული აქვს რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება. მეორე მსოფლიო ომის წლებში (1941-1945) ივანე ჯამბრიშვილი იყო იმ დრამწრის აქტიური წევრი, რომელმაც კონცერტების გამართვით შეგროვებული ოციათასამდე მანეთი თავდაცვის ფონდში შეიტანა, რისთვისაც დაიმსახურა უმაღლესი მთავარსარდლის, ი. ბ. სტალინის მაღლობა. საქმის მცოდნე, უადრესად მოკრძალებული პედაგოგი და თავისი საქმის დახვეწილი პროფესიონალი სარგებლობს დამსახურებული ავტორიტეტით და საერთო პატივისცემითა და სიყვარულით“.

აღნიშნულ აღიარებას კი წინ უძღოდა სიძნელეებით აღსავსე ათეულობით წელი. ყველაფერი კი დაიწყო სწავლის პერიოდში მისი აქტიური სპორტული მოღვაწეობით. ეხერხებოდა და წარმატებებს აღწევდა (საქალაქო თუ უფრო დიდი მასშტაბის შეჯიბრებებში) ფეხბურთში, კალათბურთში, ფრენბურთში და სხვა. შემდეგ იყო უმაღლესი სასწავლებლის დიპლომი, შეიარაღებულ ძალებში სავალდებულო სამსახური და ბოლოს, ყველაზე უფრო საინტერესო და დატვირთული შრომითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ხანგრძლივი პერიოდი. სადალარ უმუშავია ივანე ჯამბრიშვილს: ქიწნისის, გორის №9, ქვემო ნიქოზის, გორის ვაჟთა მეორე, ქალთა მესამე საშუალო სკოლები (ფიზიკისა და მათემატიკის პედაგოგი, დირექტორი, სასწავლო ნაწილის გამგე), კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი, განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი, ქ. გორის განათლების

განყოფილების გამგე, საქალაქო საბჭოს დეპუტატი, პლენუმის წევრი, სახალხო მსაჯული, პროპაგანდისტი და სხვა.

სადაც კი უმოღვაწია ივანე ჯამბრიშიელს, ყველგან სასიკეთო კვალი დაამჩნია ზოგადად სასკოლო ცხოვრებას, თუ საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამა თუ იმ სფეროს.

მისი გარდაცვალება მძიმე ტკივილად დარჩა გორის საზოგადოებას და მთლიანად განათლების სისტემას.

ღირსეული სპეციალისტის, გულისხმიერი პიროვნების ივანე ჯამბრიშიელის ხსოვნა დიდხანს დარჩება მეგობარ-ახლობლების, კოლეგებისა და მისი აღზრდილების გულებში.

# საკრძევი

ავტორისაგან .....	3
1. გალუსტაშვილი სოკრათი .....	4
2. თეთრუაშვილი ნუნუ .....	6
3. თოთლაძე შალვა .....	12
4. კახნიაშვილი ვასო .....	15
5. მახარობლიძე შოთა .....	21
6. მცურავიშვილი პავლე .....	24
7. ნაყოფია ჯემალი .....	28
8. ნოზაძე გიორგი .....	31
9. ჟიჟიაშვილი ლევანი .....	34
10. ქარელი კობა .....	39
11. ქარელი მიხეილი .....	42
12. ცერცვაძე გიორგი .....	44
13. ჯამბრიშვილი ივანე .....	49